ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №17 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 27814,0 ათ.ლარით.

2022 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 ცვლილება.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2022 წლის ბიუჯეტი 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 66 706,9 ათასი ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. ანგარიში მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

1) ოზურგეთის მუნიციპლიტეტის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**36 229,8**	**11 509,6**	**24 720,2**	**61 260,5**	**30 117,0**	**31 143,5**	**59 796,9**	**28 105,4**	**31 691,6**
გადასახადები	22 079,8	-	22 079,8	27 640,0	-	27 640,0	28 703,3	-	28 703,3
გრანტები	11 509,6	11 509,6	-	30 412,7	30 117,0	295,7	28 401,1	28 105,4	295,7
სხვა შემოსავლები	2 640,4	-	2 640,4	3 207,8	-	3 207,8	2 692,6	-	2 692,6
ხარჯები	**22 475,4**	**1 354,3**	**21 121,2**	**29 311,5**	**3 054,5**	**26 256,9**	**28 980,0**	**4 322,1**	**24 657,9**
შრომის ანაზღაურება	3 549,6	112,2	3 437,4	3 816,9	123,5	3 693,4	3 353,9	91,5	3 262,5
საქონელი და მომსახურება	2 886,3	538,9	2 347,4	3 933,1	31,5	3 901,6	3 614,7	30,4	3 584,3
ძირიტადი კაპიტალის მომსახურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი	85,8	-	85,8	95,1	-	95,1	57,0	-	57,0
სუბსიდიები	13 136,7	123,0	13 013,7	16 029,4	136,6	15 892,8	15 653,1	133,7	15 519,4
გრანტები	115,0	-	115,0	115,0	-	115,0	115,0	-	115,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 205,0	0,0	1 205,0	1 312,0	-	1 312,0	1 235,2	5,6	1 229,6
სხვა ხარჯები	1 497,0	580,1	916,9	4 009,9	2 762,9	1 247,0	4 951,1	4 061,0	890,1
საოპერაციო სალდო	**13 754,4**	**10 155,4**	**3 599,1**	**31 949,0**	**27 062,4**	**4 886,6**	**30 817,0**	**23 783,3**	**7 033,7**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**15 512,2**	**11 711,9**	**3 800,3**	**36 880,5**	**30 140,6**	**6 739,9**	**16 521,6**	**13 824,7**	**2 697,0**
ზრდა	15 907,2	11 711,9	4 195,3	37 280,5	30 140,6	7 139,9	19 318,2	13 824,7	5 493,5
კლება	395,0	-	395,0	400,0	-	400,0	2 796,6	-	2 796,6
მთლიანი სალდო	**(1 757,8)**	**(1 556,6)**	**(201,2)**	**(4 931,6)**	**(3 078,2)**	**(1 853,4)**	**14 295,3**	**9 958,6**	**4 336,7**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ცვლილება	**(114,9)**	**-**	**(114,9)**	**(114,9)**	**-**	**(114,9)**	**(114,9)**	**-**	**(114,9)**
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	114,9	-	114,9	114,9	-	114,9	114,9	-	114,9
ბალანსი	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**

2) ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**36 624,8**	**11 509,6**	**25 115,2**	**61 660,5**	**30 117,0**	**31 543,5**	**62 593,5**	**28 105,4**	**34 488,2**
შემოსავლები	36 229,8	11 509,6	24 720,2	61 260,5	30 117,0	31 143,5	59 796,9	28 105,4	31 691,6
არაფინანსური აქტივების კლება	395,0	-	395,0	400,0	-	400,0	2 796,6	-	2 796,6
გადასახდელები	**38 382,6**	**13 066,2**	**25 316,4**	**66 592,0**	**33 195,2**	**33 396,9**	**48 298,2**	**18 146,8**	**30 151,5**
ხარჯები	22 475,4	1 354,3	21 121,2	29 311,5	3 054,5	26 256,9	28 980,0	4 322,1	24 657,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	15 907,2	11 711,9	4 195,3	37 280,5	30 140,6	7 139,9	19 318,2	13 824,7	5 493,5
ვალდებულებების კლება	114,9	-	114,9	114,9	-	114,9	114,9	-	114,9
ნაშთის ცვლილება	**(1 757,8)**	**(1 556,6)**	**(201,2)**	**(4 931,6)**	**(3 078,2)**	**(1 853,4)**	**14 295,3**	**9 958,6**	**4 336,7**

2022 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 62 593,2 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2022 წლის გეგმიური მაჩვენებლის 101.5%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 28 703,3 ათასი ლარი (შემოსულობების 45,9%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე 28 401,1 ათასი ლარი (შემოსულობების 45,4%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 2 692,6 ათასი ლარი (შემოსულობების 4,3%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 2 796,6 ათასი ლარი (შემოსულობების 4,5%).

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**36 624,8**	**11 509,6**	**25 115,2**	**61 660,5**	**30 117,0**	**31 543,5**	**62 593,5**	**28 105,4**	**34 488,2**
შემოსავლები	**36 229,8**	**11 509,6**	**24 720,2**	**61 260,5**	**30 117,0**	**31 143,5**	**59 796,9**	**28 105,4**	**31 691,6**
გადასახადები	**22 079,8**	**0,0**	**22 079,8**	**27 640,0**	**0,0**	**27 640,0**	**28 703,3**	**0,0**	**28 703,3**
გრანტები	**11 509,6**	**11 509,6**	**0,0**	**30 412,7**	**30 117,0**	**295,7**	**28 401,1**	**28 105,4**	**295,7**
სხვა შემოსავლები	**2 640,4**	**0,0**	**2 640,4**	**3 207,8**	**0,0**	**3 207,8**	**2 692,6**	**0,0**	**2 692,6**
არაფინანსური აქტივების კლება	**395,0**	**0,0**	**395,0**	**400,0**	**0,0**	**400,0**	**2 796,6**	**0,0**	**2 796,6**

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულება:



შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 61 260,5 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 59 796,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97.6%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 28 703,3 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 103,9%-ია.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი 7 340,00 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 8 170,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 111,3%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი 20 300,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 20 532,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 101.2%-ია.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2022 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 28 401,1 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 30 412,7 ათას ლარს, რაც გეგმის - 93.4% შეადგენს.

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები – 295,7 ათასი ლარი ;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 280,0 ათასი ლარი ;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 13 339,7 ათასი ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 8 184,7 ათასი ლარი;

ე) სტიქია - 5215,0 ათასი ლარი;

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1086,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2022 წლის საპროგნოზო მოცულობა 3 207,8 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 692,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83,9%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 4,3%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 78,4 %-ით (წლიური გეგმა 400,0 ათ.ლარი, შესრულება 313,7 ათასი ლარი);

შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 75,3 %-ით (წლიური გეგემა 100,0 ათასი ლარი, შესრულება 75,3 ათასი ლარი);

მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 72,1 %-ით (გეგმა 150,0 ათასი ლარი, შესრულება 108,1 ათასი ლარი);

მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 110,0 %-ით (გეგმა 250,0 ათასი ლარი შესრულება 275,1 ათასი ლარი);

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 93,4 %-ით (წლიური გეგმა 1 987,8 ათასი ლარი,შესრულება 1 855,8 ათასი ლარი);

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 160,0 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 32,0 ათასი ლარი);

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 10,0 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათასი ლარი, შესრულება 30,0 ათასი ლარი); (ახსნა-განმარტება შესრულების დაბალი მაჩვენებლის შესახებ: შემოსავლების აღნიშნულ მუხლში შემოსავლები აკუმულირდება სხვა მიმდინარე ტრანსფერებიდან, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან, ასევე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხებიდან. რადგან აღნიშნული შემოსავლების განსაზღვრა წინასწარ ზუსტად ვერ ხერხდება, წელი იგეგმება წინა წლების საორიენტაციო გეგმებიდან გამომდინარე).

არაფინანსური აქტივების კლება

2022 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 2 796,6 ათას ლარს შეადგენს, შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 4.5%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 14 295,31 ათასი ლარის ოდენობით. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 14 295,31 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 5 046,5 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 3 078,2 ათასი ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს, ხოლო 1 968,3 ათასი ლარი საკუთარ თანხებს. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით არის 19 238,9 ათასი ლარი, აქედან 11 704,7 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხები, ხოლო 7 534,2 ათასი ლარი არის საკუთარი თანხები.

ვალდებულების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 517,2 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი არის 402,3 ათასი ლარი. 2022 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენდა 114,9 ათას ლარს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**5 026,0**	**6 194,3**	**5 473,8**	**88,4**	**11,3**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 026,0	6 194,3	5 473,8	88,4	11,3
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 676,0	5 844,3	5 341,9	91,4	11,1
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	350,0	350,0	131,9	37,7	0,3
7.2	**თავდაცვა**	**143,1**	**155,0**	**127,4**	**82,2**	**0,3**
7.21	შეიარაღებული ძალები	143,1	155,0	127,4	82,2	0,3
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**16 367,2**	**36 198,1**	**20 879,4**	**57,7**	**43,2**
7.45	ტრანსპორტი	11 210,4	10 239,9	8 509,4	83,1	17,6
7.451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	11 210,4	10 239,9	8 509,4	83,1	17,6
7.47	ეკონომიკის სხვა დარგები	800,1	16 948,8	7 848,5	46,3	16,3
7.49	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4 356,6	9 009,3	4 521,5	50,2	9,4
7.5	**გარემოს დაცვა**	**2 900,1**	**3 297,8**	**3 296,4**	**100,0**	**6,8**
7.51	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2 900,1	3 177,8	3 296,4	103,7	6,8
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**1 630,1**	**4 832,5**	**3 793,5**	**78,5**	**7,9**
7.61	ბინათმშენებლობა	178,0	1 597,8	903,8	56,6	1,9
7.63	წყალმომარაგება	700,0	1 553,5	1 381,7	88,9	2,9
7.64	გარე განათება	752,0	1 681,2	1 508,0	89,7	3,1
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**859,9**	**1 020,6**	**887,8**	**87,0**	**1,8**
7.73	საავადმყოფოების მომსახურება	686,9	836,0	712,3	85,2	1,5
7.74	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	173,0	184,6	175,5	95,1	0,4
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**4 766,0**	**5 840,0**	**5 599,2**	**95,9**	**11,6**
7.81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 940,0	2 416,0	2 369,7	98,1	4,9
7.82	მომსახურება კულტურის სფეროში	2 656,0	3 254,0	3 085,2	94,8	6,4
7.84	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	170,0	170,0	144,3	84,9	0,3
7.9	**განათლება**	**5 738,2**	**7 994,7**	**7 273,7**	**91,0**	**15,1**
7.91	სკოლამდელი აღზრდა	4 500,0	6 379,6	5 840,0	91,5	12,1
7.92	ზოგადი განათლება	1 238,2	1 615,1	1 433,7	88,8	3,0
710	**სოციალური დაცვა**	**952,1**	**1 059,0**	**967,2**	**91,3**	**2,0**
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	15,0	24,0	24,0	100,0	0,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	937,1	1 035,0	943,2	91,1	2,0
	სულ	**38 382,6**	**66 592,0**	**48 298,2**	**72,5**	**100,0**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 66 706,9 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 48 413,1 ათასი ლარი წლიური გეგმის 72,6 % -ია.



- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 5 716,1 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 6464,2 ათასი ლარი) 88,4 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 24 553,8 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 40 750,6 ათასი ლარი) 60,3 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3 296,4 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 3 297,8 ათასი ლარი) 99,96 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 7 273,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 7 994,7 ათ.ლარი) 91,0 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5 599,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 5 840,0 ათასი ლარი) 95,9 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 1 854,9 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2 079,6 ათასი ლარი) 89,2 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 119,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 280,0 ათასი ლარი) 42,5 %;

(ახსნა-განმარტება შესრულების დაბალი მაჩვენებლის შესახებ: აღნიშნულ პრიორიტეტში თანხები გათვალისწინებული იყო GIZ-თან ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, დასკვნით ეტაპზე დონორმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა პროექტების დაფინანსებაზე).

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა 114,9 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
ხარჯები	29 311,5	28 980,0	98,9	59,9
შრომის ანაზღაურება	3 816,9	3 353,9	87,9	6,9
საქონელი და მომსახურება	3 933,1	3 614,7	91,9	7,5
პროცენტი	95,1	57,0	59,9	0,1
სუბსიდიები	16 029,4	15 653,1	97,7	32,3
გრანტები	115,0	115,0	100,0	0,2
სოციალური უზრუნველყოფა	1 312,0	1 235,2	94,1	2,6
სხვა ხარჯები	4 009,9	4 951,1	123,5	10,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	37 280,5	19 318,2	51,8	39,9
ვალდებულებების კლება	114,9	114,9	100,0	0,2
გადასახდელების ჯამი	66 706,9	48 413,1	72,6	100,0

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება - 48 413,1 ათასი ლარი)



2022 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 131 871,24 ლარი.

ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ

სარეზერვო ფონდიდან კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი, თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა	**სამართლებრივი აქტი**	**გამოყოფილი თანხა (ლარებში)**	**შენიშვნა**
სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტის შესაძენად გაცემული დახმარებები	ბრძანება	26 057	
დახმარების გაწევის მიზნით მედიკამენტების შესაძენად და სამედიცინო მომსახურების დაფარვის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა	ბრძანება	29 211	
სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება მათ შორის , მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების	ბრძანება	57 981	

უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო ჰუმანიტარული დახმარების მიზნით თანხის გამოყოფა	ბრძანება	9 722,24	
განათლების ღონისძიებების ხელშეწყობა	ბრძანება	6 600	
სარიტუალო ხარჯებისთვის გაწეული დახმარებები	ბრძანება	1 800	
მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	ბრძანება	500	
სულ		**131 871,24**	

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება თან ერთვის: (დანართი #1);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებების (გადასახდელების) შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი #2);

ზოგიერთი კაპიტალური პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო მასალა: (დანართი #3);

კაპიტალური ბიუჯეტის შესრულება (დანართი #4);

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საბალანსო ფორმები (დანართი #5);

მუნიციპალური პროგრამების შესრულების ფორმები ინდიკატორების შესაბამისად (დანართი #6).